სანქციების დაწესებისა და გამოყენების პროცედურა

დანიშნულება

წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს ასოციაცია „ბუნებრივი ღვინის“ (შემდეგში - ასოციაცია) წევრების მიერ ვენახის მოვლისა და ღვინის დაყენების პრაქტიკას ასოციაციის მიერ დადგენილი წესების მიხედვით.

გამოყენების სფერო

აღნიშნული დოკუმენტი და მასში მოხსენიებული სანქციები ეხება ასოციაციის ყველა იმ წევრს, რომელიც არღვევს ასოციაციის წევრობის ხელშეკრულების მოთხოვნებს.

პასუხისმგებელი პირი

ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი

ჩანაწერის ფორმა

სანქციების რეესტრი

სანქციების კონტროლის ფორმა

1. სანქციების დაწესება

1.1. სანქციები უწესდება ასოციაციის ყველა იმ წევრს, რომელიც არღვევს ასოციაციის წევრობის ხელშეკრულების მოთხოვნებს.

1.2. ასოციაციის წევრის მიმართ სანქციები გამოიყენება ასოციაციის ინსპექტირების შედეგებიდან ან სხვა ობიექტურად დადასტურებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე, რომ ასოციაციის წევრობის ხელშეკრულების მოთხოვნები დარღვეულია.

1.3. ინსპექტირების შემთხვევაში, ინსპექტირების შეფასების შემაჯამებელ ანგარიშში ასევე იწერება შესაბამისი დარღვევისთვის დაწესებული სანქცია.

1.4. სანქციების რეესტრს და სტატისტიკას აწარმოებს ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი (იხ. დანართი - სანქციების რეესტრი).

1.5. სანქციების რეესტრში ინფორმაცია ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელს შეაქვს ინსპექტირების დაწყებიდან 3-4 თვის შემდეგ (შუალედური ანგარიში) და დასრულებისას (საბოლოო ანგარიში).

1.6. ინსპექტირების შედეგების გარდა, სხვა ობიექტურად დადასტურებული მტკიცებულებებით დაწესებული სანქციების შემთხვევაში, ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი კონკრეტული შემთხვევის შესახებ ინფორმაციას და შესაბამის სანქციას წარუდგენს ასოციაციის დირექტორს ინფორმაციის მიღებიდან 10 დღის ვადაში. დირექტორი ვალდებულია, ეს სანქციები დაადასტუროს ან უარყოს ინფორმაციის მიღებიდან მაქსიმუმ 1 თვის განმავლობაში.

1.7. ინსპექტირების შედეგებისა და სხვა ობიექტურად დადასტურებული მტკიცებულებებით დაწესებული სანქცია ძალაში შედის დირექტორის მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

1.8. ასოციაციის დირექტორი ვალდებულია, უზრუნველყოს ასოციაციის წევრის დროული ინფორმირება დაწესებული სანქციების შესახებ.

1.9. სანქციებს, რომლებიც დაწესებულია დარღვევების გამოსწორებისა და შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით, შემდგომში აკონტროლებს ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი (საჭიროების შემთხვევაში - შიდა ინსპექტორების დახმარებით). კონტროლის შედეგები აღირიცხება მის მიერ შევსებულ **„სანქციების კონტროლის ფორმაში“** (იხ. დანართი).

1.10. გამოსწორებული მაკორექტირებელი ქმედებების შესაბამისი მტკიცებულების მოპოვების შემდეგ ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი ასოციაციის წევრს აწვდის ინფორმაციას სანქციის მოხსნის შესახებ და ეს ინფორმაცია შეაქვს **სანქციების კონტროლის ფორმაში**.

2. დარღვევები და სანქციების ტიპები

2.1. ასოციაცია „ბუნებრივი ღვინის“ ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში შეუსაბამობებსა და დარღვევებზე დაწესებულია სანქციები, რომლებიც სამ კატეგორიად არის დაყოფილი **(იხ. ცხრილი 1: სანქციების ტიპები და კატეგორიები**).

2.2. I კატეგორიის დარღვევის შემთხვევაში, წევრი მიიღებს გაფრთხილებას.

2.3. II კატეგორიის დარღვევის შემთხვევაში, წევრი ვერ მიიღებს ასოციაციის ნიშანს დარღვევის აღმოჩენის წლის მოსავლის კონკრეტულ ღვინოზე.

2.4. III კატეგორიის დარღვევის შემთხვევაში, წევრს შესაძლოა შეუჩერდეს ან შეუწყდეს წევრობა და უარი ეთქვას ასოციაციის ფესტივალებში მონაწილეობაზე.

2.5. ასოციაციაში წევრის აღდგენა ხდება იგივე პროცედურით, რაც ახალი წევრის მიღების შემთხვევაში.

2.6. ასოციაციაში წევრის აღდგენის შემდეგ III კატეგორიის დარღვევის შემთხვევაში, ასოციაციიდან წევრი გაირიცხება 4 წლის ვადით.

2.7. ასოციაციაში წევრის ხელმეორედ აღდგენა 4 წლის შემდეგ ხდება იგივე პროცედურით, რაც ახალი წევრის მიღების შემთხვევაში.

ცხრილი 1: სანქციების ტიპები და კატეგორიები

შეუსაბამობის კატეგორია	**შეუსაბამობის ტიპი**	**გასატარებელი სანქცია**
I კატეგორია	ორგანული სასუქის ჭარბი გამოყენება პირველად	**გაფრთხილება**
	მარანში ღვინოების არასწორი ნიშანდება პირველად	
	პრეპარატების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების (ზედნადები, ფაქტურა და ა.შ.) არქონა პირველად	
	მარნის სქემის/რუკის არქონა პირველად	
	ვენახების ორთოფოტოების ან გუგლ-რუკების არქონა პირველად	
	სპილენძის შემცველი პრეპარატების ჭარბი გამოყენება პირველად	
	ვენახის ან/და მარნის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის არქონა (დასაშვებია მშობლების, დედმამიშვილების, მეუღლის და შვილების სახელზე გაფორმებული ვენახის/მარნის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი)	
	ფესტივალზე არა-წევრის მიერ წარმოებული ღვინის წარმოდგენა პირველად	
II კატეგორია	ორგანული სასუქის ჭარბი გამოყენება ზედიზედ ორი და მეტი წლის განმავლობაში	**უარი ასოციაციის ნიშანზე**
	მარანში ღვინოების არასწორი ნიშანდება მეორედ და ყოველ ჯერზე	
	მარანში არსებული ღვინის რაოდენობის თაობაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, პირველად	
	არადეკლარირებული ბიო ყურძნის გამოყენება მისგან დაყენებული ღვინის რეალიზაციის მიზნით, პირველად	
	გოგირდის შემცველობა ღვინოში >50 მგ/ლ	
	2 მიკრონზე უფრო მცირე ფორების მქონე ქაღალდის ფილტრის გამოყენება პირველად	
	2-მიკრონიანი და უფრო დიდი ფორების მქონე ქაღალდის ფილტრის გარდა, სხვა საფილტრი	

	ნივთიერებების, მასალების და საშუალებების გამოყენება პირველად	
	პრეპარატების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტების (ზედნადები, ფაქტურა და ა.შ.) არქონა მეორედ და ყოველ ჯერზე	
	ვენახის მოვლის ჩანაწერების არქონა	
	რთველის და მარნის ჩანაწერების არქონა	
	მარნის სქემის/რუკის არქონა მეორედ	
	ვენახების ორთოფოტოების ან გუგლ-რუკების არქონა მეორედ	
	სპილენძის შემცველი პრეპარატების ჭარბი გამოყენება ზედიზედ ორი წლის განმავლობაში	
III კატეგორია	ნებისმიერი სახის სისტემური პესტიციდის გამოყენება	**წევრობის შეჩერება ან შეწყვეტა, ან/და უარი ფესტივალში მონაწილეობაზე**
	ნებისმიერი სახის ჰერბიციდის გამოყენება	
	ნებისმიერი სახის სინთეზური გზით მიღებული ქიმიური სასუქის გამოყენება	
	სპილენძის შემცველი პრეპარატების ჭარბი (წელიწადში 6კგ.-ზე მეტი) გამოყენება ზედიზედ სამი წლის განმავლობაში	
	პარალელური წარმოება ვენახში - ბიო/ორგანული ვენახის პარალელურად კონვენციური ვენახის ფლობა/სარგებლობა	
	პარალელური წარმოება მარანში - ბუნებრივი ღვინის პარალელურად ინდუსტრიული ან ფალსიფიცირებული ღვინის დაყენება რეალიზაციის მიზნით	
	არა-წევრ მარანში ღვინის დაყენება ან/და არა-წევრი მარნის ღვინის შეძენა შემდგომი რეალიზაციის მიზნით	
	ოჯახის წევრების (მეუღლე, მშობელი, შვილი, დედმამიშვილი) მიერ, რომლებიც ჩართულნი არიან წევრის მევენახეობა-მეღვინეობის მეურნეობაში და ენიჭებათ გარკვეული პასუხისმგებლობა ამ მეურნეობის მართვაში, ბუნებრივ ვენახთან ერთად კონვენციური ვენახის ფლობა ან მართვა	
	მარანში არსებული ღვინის რაოდენობის თაობაზე არასწორი ინფორმაციის მიწოდება, მეორედ	
	არადეკლარირებული, არასერტიფიცირებული ან/და არა-ბიო ყურძნის გამოყენება მისგან დაყენებული ღვინის რეალიზაციის მიზნით	
	არადეკლარირებული ბიო ყურძნის გამოყენება მისგან დაყენებული ღვინის რეალიზაციის მიზნით, მეორედ	
	საწევრო გადასახადის გადაუხდელობა, გადავადების მოთხოვნის და გადახდის სრული განრიგის წარმოუდგენლობა, განრიგის მიხედვით გადახდების არ შესრულება	
	ინსპექტირების პროცესის ხელის შეშლა (მათ შორის - ინსპექტირებაზე თავის არიდება სამჯერ)	

	როგორც მშრალი ფხვიერი ფორმით ნებისმიერი საფუარის, ისე ლაბორატორიაში გამოყვანილი საფუარის წმინდა კულტურის (იქნება ეს თხევადი, მშრალი თუ სხვა სახის) გამოყენება დუღილისათვის და ღვინის დაყენებისას	
	2-მიკრონზე ნაკლები ფორების მქონე ქაღალდის ფილტრის ან სხვა საფილტრი ნივთიერებების, მასალების და საშუალებების გამოყენება მეორედ	
	გოგირდის ან სხვა ნებისმიერი ინჰიბიტორის დამატება ყურძენზე და დურდო-წვენზე დუღილის დაწყებამდე და დუღილის მიმდინარეობის ნებისმიერ ფაზაში	
	ღვინის პასტერიზაცია (60 გრადუსზე მაღლა გაცხელება)	
	ეტიკეტის გამოყენება, რომელიც ტყუილით და არა-სრულად ასახავს ღვინის წარმოშობას	
	გაფრთხილებიდან 2 წლის განმავლობაში ვენახის ან/და მარნის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის არ წარმოდგენა	
	ფესტივალზე არა-წევრის მიერ წარმოებული ღვინის წარმოდგენა მეორედ	
	ლაბორატორიული შემოწმებისას შეუსაბამობების დაფიქსირება	
	ასოციაციისათვის ნებისმიერი სახის (ფიზიკური, ფინანსური, რეპუტაციული და სხვ.) ზიანის მიყენება	

დანართი - სანქციების რეესტრი

სანქციების რეესტრის მომზადების თარიღი: _____

სანქციის #	შეუსაბამობის კატეგორია	შეუსაბამობის ტიპი	ასოციაციის წევრის დასახელება	დარღვევა დაფიქსირდა (აღნიშნეთ X)		გასატარებელი სანქცია	დარღვევის დაფიქსირების ჯერადობა
				შიდა ინსპექტირებისას	სხვა		

ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის ხელმოწერა: _____

დირექტორის ხელმოწერა: _____ დირექტორის მიერ დამტკიცების თარიღი: _____

დანართი - სანქციების კონტროლის ფორმა

#	სანქციის #	სანქციის დაწესების თარიღი	სანქციის განხორციელების მტკიცებულება და მისი მოპოვების თარიღი	სანქციის მოხსნის სავარაუდო თარიღი